საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA
CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

№3-220

04.07.2018

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

ბატონო მამუკა,

პირველ ყოვლისა, გილოცავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებას და წარმატებას გისურვებთ ამ საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებაში.

მიმდინარე წლის მარტში საქართველოს პრემიერ-მინისტრს გავუგზავნეთ 33 საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიმართვა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ახლაც განიხილება საქართველოს პარლამენტში (რეგისტრაციის N.07-2/161/9). სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ არ გაითვალისწინა ჩვენი მოთხოვნები და კანონპროექტში ჩვენს მიერ შეთავაზებული ცვლილებები არ შესულა.

თქვენი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე წარდგენისას ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თქვენს მიერ წარმოდგენილმა, სახელმწიფო პოლიტიკის ახალმა ხედვამ, კერძოდ, მთავარ პრიორიტეტებს შორის ისეთი საკითხების დასახელებამ, როგორებიცაა სამართლიანი თამაშის წესები ეკონომიკაში, ადამიანის კეთილდღეობა და მისი დაცვა. ჩვენთვის ასევე საყურადღებო იყო ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მუშაობისას თქვენი ინიციატივები საფინანსო ორგანიზაციების მომხმარებელთა უფლებების დასაცავად.

აქედან გამომდინარე, ვიმედოვნებთ, რომ მომხმარებლის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა შეიცვლება და, მათ შორის, ჩვენი ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებაც შესაძლებელი გახდება. ამიტომაც, საჭიროდ ჩავთვალეთ გამოგიგზავნოთ ჩვენი 2018 წლის მარტის მიმართვა.

ველით თქვენს გამოხმაურებას და მზადყოფნას გამოვთქვამთ თქვენთან და საქართველოს ახალ მთავრობასთან სათანამშრომლოდ.

პატივისცემით,

ეკა ურუშაძე
აღმასრულებელი დირექტორი

www.moxmarebeli.ge
მომხმარებელი.ge
საკითხს აწყობს

თბილისი 0177, საქართველო, დელისის I შესახვევი 5ª | Tbilisi 0177, Georgia 5ª Delisi 1st lane
T/F: (+995 32) 2 399 019 | 2 399 018 | E: office@csrdg.ge | www.csrdg.ge

12.03.2018

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

15 მარტს მსოფლიო მომხმარებლის უფლებების დღეს აღნიშნავს. ამ დღეს ქართველი მომხმარებლები კვლავ დაუცველები ვხვდებით იმ მრავალგვარი საფრთხეებისაგან, რომლებიც თანამედროვე სამყაროში სამომხმარებლო პროდუქტებისაგან მომდინარეობს. საქართველოს კანონმდებლობით მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტის გაყიდვაა დაშვებული, თუმცა, პროდუქტების აბსოლუტურ უმრავლესობასთან მიმართებაში არ არის დადგენილი უსაფრთხოების ნორმები და არ მიმდინარეობს სახელმწიფო კონტროლი.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, საქართველოს ხელისუფლებამ განსაზღვრა პროდუქტების გარკვეული სახეობები, რომლებთან მიმართებაშიც მომავალი წლების მანძილზე სახელმწიფო კონტროლის ეტაპობრივი შემოღებაა დაგეგმილი. ამ მიზნით, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებები შედის, რომლებიც ამჟამად საქართველოს პარლამენტში განიხილება. თუმცა, ეს ცვლილებები კოდექსის გავრცელების არეალს ზღუდავს მხოლოდ იმ პროდუქტებით, რომელთა მიმართ მოთხოვნები დადგინდება, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით.

ზედამხედველობის გარეშე რჩება ისეთი პროდუქტების უსაფრთხოება, როგორებიცაა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტექსტილი, ავეჯი, პარფიუმერია-კოსმეტიკა, ჰიგიენის საშუალებები, საკანცელარიო საქონელი, სამუშაო ინსტრუმენტები, პიროტექნიკა და სხვა. ამგვარად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ლაბორატორიულად დასტურდება პროდუქტის მავნეობა, რომელზეც ტექნიკური რეგლამენტი არ მოქმედებს, ამ პროდუქტის სავაჭრო ქსელიდან ამოღება ვერ ხერხდება.

საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას და მომავალი თაობების ჯანსაღ განვითარებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას**

- **„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მოქმედება არ შეზღუდონ გარკვეული სახის პროდუქტებით და რომელიმე პროდუქცია კანონის ჩარჩოებს მიღმა არ დატოვონ.**
- **შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა, ყველა სახეობის პროდუქტზე სახელმწიფო კონტროლის დასანერგად.**

1. *ა(ა)იპ „ახალგაზრდული ალტერნატივა“*
2. *ა(ა)იპ „კავკასიური მოზაიკა“*

3. ა(ა)იპ ,,ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის“
4. ა(ა)იპ „მწვანე კავკასია“
5. ასოციაცია „გადავარჩინოთ მომავალი თაობა“
6. ასოციაცია „მერკური“
7. ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“
8. ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
9. ევროპის ფონდი
10. ენერგოეფექტურობის ფონდი
11. იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
12. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
13. მეწარმე ქალთა ფონდი
14. ოქსფამი
15. ჟურნალისტიკის რესურსცენტრი
16. რეპატრიანტთა კავშირი
17. რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი
18. საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
19. საზოგადოებრივი განვითარების აკადემია
20. საზოგადოებრივი დამცველი
21. სათემო ფონდი „ადგილის დედა“
22. სოფლად თემთა განვითარების სააგენტო
23. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
24. საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია
25. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
26. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
27. საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირი
28. სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
29. ფერმერ ქალთა ასოციაცია
30. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
31. ფონდი კავკასიის ეკოლოგია
32. ცენტრი „ემპათია“
33. ჰარმონიული განვითარების საზოგადოება